

## საქვეყნოების პრინციპი და სასამართლოს განაჩენი

ციალა რატიანი  
ადვოკატი

### ანოტაცია

სასამართლო განხილვის წარმოება ფართო აუდიტორიის თანდასწრებით არც თუ ისე იოლი და მეტად საპასუხისმგებლო საქმეა.

სასამართლოს განაჩენი ყოველთვის საქვეყნოდ ცხადდება, ეს გარანტირებულია როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ისე საქართველოს კონსტიტუციით. ეს ნიშნავს, რომ ყველა მსურველს შეუძლია გაეცნოს განაჩენს. სხვა საკითხია, თუ რა მომენტიდან უნდა იყოს განაჩენი ხელმისაწვდომი, გამოცხადების თუ კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ეს მომენტი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საუბარია განაჩენის ინტერნეტში განთავსებაზე.

ჩვენი აზრით, არ არსებობს არავითარი დაბრკოლება იმისათვის, რომ განაჩენი გამოცხადების შემდეგ განთავსდეს ინტერნეტში. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ მათ ჯერ არ გააჩნიათ კანონიერი ძალა. ჟურნალისტს, რომელიც ესწრება პროცესს შეუძლია ჩაიწეროს განაჩენი და გამოაქვეყნოს იგი გაზეთში.

ესე იგი პრობლემა არ არის. განაჩენი გამოცხადება და მისი განთავსება ინტერნეტში შესაძლებელია.

### საკვანძო სიტყვები:

სისხლის სამართლის პროცესი, სასამართლოს განაჩენი, განაჩენის საქვეყნოდ გამოცხადება, განაჩენის ინტერნეტში განთავსება.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთი ამოცანაა სასამართლო პროცესის ორგანიზების საკითხის გადაჭრა, რათა იგი უფრო ეფექტური გახდეს.

სასამართლო განხილვის პროცესუალურ ფორმას თავიდან ბოლომდე აწესრიგებს კანონი. სასამართლო განხილვის მონაწილეთა ყველა მოქმედება, მათი პროცესუალური უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელების ფორმა და წესი მკაცრად არის განსაზღვრული კანონით. კანონის მოთხოვნათა მკაცრი დაცვა, რომლებიც აწესრიგებენ სამართალწარმოებას, არის მართლმსაჯულების წარმატებული განხორციელების აუცილებელი პირობა და ერთადერთი საშუალება.<sup>1</sup>

სასამართლო განხილვის განსაზღვრული წესების და პირობების პროცესუალური ნორმების დაუცველობა არის კანონიერების პრინციპის უხეში დარღვევა, რომელიც აისახება როგორც სასამართლოს განაჩენზე, ისე სასამართლოს ავტორიტეტზე დამსწრე საზოგადოების თვალში, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს სახელით.

სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის განსამტკიცებლად საჭიროა სამართლიანი განაჩენის გამოტანა. რაც არ უნდა იურიდიულად გამართულად იყოს შედგენილი განაჩენი, იგი ვერ მოიპოვებს საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერას, თუ მისი სარეზოლუციო ნაწილი არ იქნება მთელი სასამართლო განხილვის ლოგიკური

<sup>1</sup> .იხ. Шушанашвили А. А. Гласность в советском уголовном процессе. Тбилиси, 1969 г. С.60.

დასასრული და იქნება "მოულოდნელი" განსასჯელისთვის და სასამართლო აუდიტორიისთვის.<sup>2</sup>

სასამართლოს სამართლიანი განაჩენის გამოტანისთვის ფართო გასაქანს აძლევს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. სასამართლოს შეუძლია ლავირება როგორც სასჯელის ფორმის, ისე სასჯელის ზომის ფარგლებში, ისევე როგორც გამამართლებელი განაჩენის გამოტანაც. აქ ჩვენ არ უნდა დაგვაფიქვდეს ის, რომ ყოველი განაჩენი გამოდის კონკრეტული ადამიანის მიმართ და, შესაბამისად, იგი უნდა იყოს ინდივიდუალიზირებული. ის, რაც მისაღებია ერთ შემთხვევაში, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს მეორე მსგავსი შემთხვევისათვის.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ საქვეყნოების პრინციპის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა: სასამართლო განაჩენის საქვეყნობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად: "სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნდ ცხადდება". იგივეს იმეორებს საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი: "სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ". აღნიშნულ დებულებას აღიარებს საერთაშორისო სამართალიც. ასე, ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, მე-6 მუხლის პირველ ნაწილში ამბობს: "განაჩენი ცხადდება საჯაროდ". აღნიშნული კონვენციის მოთხოვნაზე, რომ განაჩენი საჯაროდ გამოცხადდეს არ არის დაწესებული რაიმე შეზღუდვა და იგი მოქმედებს თავად სასამართლო სხდომის დახურულად მიმდინარეობის შემთხვევაშიც.<sup>3</sup>

აქ უნდა აღვნიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: საერთაშორისო სამართალში საქვეყნობის ნაცვლად ხმარობენ საჯაროობის ტერმინს იგივე დატვირთვით, რაც გააჩნია საქვეყნობას. შესაბამისად, საერთაშორისო აქტების ქართულ ენაზე თარგმნისას საქვეყნობის ნაცვლად თარგმნიან საჯაროობას. ეს კი სერიოზული შეცდომაა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით.

ტერმინი საჯაროობა საქვეყნობის ნაცვლად ჩვენ გვხვდება ასევე საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. საჯაროობის ტერმინი იყო დამკვიდრებული ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, რომლებიც მიღებული გახლდათ საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას.

საჯაროობის პრინციპს სისხლის სამართალწარმოებაში საქვეყნობის პრინციპისგან განსხვავებული შინაარსი გააჩნია. ამიტომ საქვეყნობის ნაცვლად საჯაროობის ტერმინის ხმარება, სულ ცოტა, ტერმინოლოგიური უზუსტობაა. აღნიშნულ საკითხს თავის დროზე გამოეხმაურა პროფ. გ. ნადარეიშვილი, რომელიც მ.ს. სტროგოვიჩის ნაშრომზე (სისხლის სამართლის პროცესი) დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ტერმინები საჯაროობა და საქვეყნობა სხვადასხვა შინაარსისაა. კერძოდ, საჯაროობა ნიშნავს სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებას დაიწყონ წინასწარი გამოძიება დანაშაულის ნიშნების არსებობისას, მიუხედავად იმ მოქალაქეების და ორგანიზაციების ნებისა, რომელთა ინტერესებსაც უშუალოდ ეხება დანაშაული, ანუ საჯაროობა იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის წარმოება და მისი შედეგი დამოკიდებული არ არის იმაზე, საჭიროდ მიაჩნია თუ არა დაზარალებულს განაცხადოს დანაშაულის შესახებ, მიიღებს თუ არა იგი ამა თუ იმ ზომას თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. რაც შეეხება საქვეყნობის

<sup>2</sup> . იხ. Шушанашвили А. А. Гласность в советском уголовном процессе. Тбилиси, 1969 г. С.75.

<sup>3</sup> . იხ. 1984 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Campbell and Fell, Series A: Judgments and Decision, Volume 80 (1984), გვ. 42-43.

ტერმინს, იგი ნიშნავს იმას, რომ სამსჯავრო განხილვა ხდება საქვეყნოდ, ღიად, ხალხის თანდასწრებით. შესაბამისად ამ ორ ტერმინს სხვადასხვა დატვირთვა გააჩნია და მათი ერთმანეთში არევა ყოველად დაუშვებელია,<sup>4</sup> რასაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით.

დავუბრუნდეთ სასამართლო განაჩენის საქვეყნოდ გამოცხადების საკითხს. სასამართლო განაჩენის საქვეყნოდ გამოცხადება ნიშნავს, რომ სასამართლოს განაჩენი ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მაგრამ დღევანდელი რეალობის სამწუხარო ფაქტია ის, რომ სასამართლოს განაჩენის მიღება იმასაც კი უჭირს, ვისაც იგი ეხება, რაც უმეტესად უკავშირდება ვადებს. ხოლო თუ განაჩენის მიღება უნდა პირს, რომელიც არ მონაწილეობს ან უმნიშვნელო როლს ასრულებს პროცესში, მან ნაკლებად სავარაუდოა მოახერხოს განაჩენის აღება, თუმცა კი გაუგებარია რატომ: განაჩენი ხომ საქვეყნოდ ცხადდება და, შესაბამისად, ხელმისაწვდომია ყველასათვის, პიროვნება არ არის ვალდებული დაასაბუთოს, თუ რატომ სჭირდება ის. უბრალოდ, სურს განაჩენის წაკითხვა, რისი უფლებაც მას აქვს გამომდინარე იქიდან, რომ განაჩენი საქვეყნოდ გამოცხადდა.

დიდ ბრიტანეთში<sup>5</sup>, საერთო სამართლის ქვეყანაში, სასამართლო განაჩენის საქვეყნობის საკითხი წყდება მაქსიმალურად ფართო ხელმისაწვდომობის სასარგებლოდ. ამთან უკანასკნელ როლს როდი ასრულებს ამ მხრივ პრეცედენტის არსებობა. პრეცედენტის განუყოფელი მახასიათებელი ნიშანია მისი ხელმისაწვდომობა სხვა სასამართლოებისათვის და სუბიექტებისათვის. აქ აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ საუბარია სასამართლოს განაჩენზე – სრულზე და მოტივირებულზე, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკამ დიდ ბრიტანეთში შეიმუშავა ორი ტიპის განაჩენი: სრული და მოკლე. დიდ ბრიტანეთში სასამართლოს ავტორიტეტი მდგომარეობს იმაში, რომ მოსამართლეებს თავიანთი განაჩენი არ უნდა დაასაბუთონ (ვინაიდან «მხოლოდ მოსამართლეებს შეუძლიათ აზრის შეტანა სამართალში»). თუმცა კი, პრაქტიკაში, მოსამართლეთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს განაჩენის მოტივირებას. მოკლე განაჩენის არსი ბრძანებაა, რომელიც ფაქტიურად დაიყვანება სარეზოლუციო ნაწილამდე. საქვეყნობის მოთხოვნა გამონაკლისს არ აკეთებს არც მოკლე და არც სრული განაჩენისთვის. ამ ლოგიკის თანახმად, თუ სასამართლოს განაჩენი გამოქვეყნებას ექვემდებარება, მაშინ მთელი პროცესიც საქვეყნო უნდა იყოს.

დიდ ბრიტანეთში სასამართლო განაჩენები ექვემდებარება გამოქვეყნებას ისეთ კრებულში, როგორცაა “All England Law Reports”, ასევე სასამართლო განაჩენების ყოველკვირეულ ჟურნალში “Weekly Law Reports”. აღნიშნული კრებულები არ წარმოადგენენ ოფიციალურ გამოცემას, მაგრამ ტრადიციის თანახმად სასამართლოში გამოსვლისას მხარეები ეყრდნობიან მათ. გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე პოპულარულია შემდეგ გამოცემათა კრებულები: “Halsbury’s Laws of England”, “Law’s Journal”, “Law’s Times”, “Lloyd’s Reports”.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ასევე მოქმედებს სასამართლოს განაჩენების ფართო პუბლიკაციის საკმაოდ მოქნილი პრაქტიკა. იმისათვის, რომ ღრმად ჩავწვდეთ სასამართლოს განაჩენების პუბლიკაციის არსს, აუცილებელია აღვნიშნოთ ის ფაქტი,

<sup>4</sup> იხ: გ. ნადარეიშვილი. საჯაროობა თუ საქვეყნობა? // საბჭოთა სამართალი, 1988წ. №3. გვ. 67- 68.

<sup>5</sup> შესაბამის სახელმწიფოებზე უფრო ვრცლად იხილეთ: Барак А. Судейское усмотрение. М., 1999; Давид Р., Жофре-Спинози К. Основные правовые системы современности. М., 1996; Кросс Р. Прецедент в английском праве. М., 1985; 2-е изд. М., 1999; Цвайгерт К., Кётц Х. Введение в сравнительное правоведение в сфере частного права. В 2-х т. М., 1998. Т.1; Судебные системы зарубежных государств / Под ред. В.А. Туманова. М., 1991.

რომ როგორც დიდი ბრიტანეთის, ისე ააშ-ის სამართლის დოქტრინა გამოდის სამართლიანი მართლმსაჯულების კონცეფციიდან, კერძოდ, მისი საქვეყნოების იდეიდან, ხოლო სასამართლოს განაჩენები ატარებენ სამართლის წყაროს ხასიათს. ყველაზე ნათლად სახელმწიფოს საქმიანობაში გამჭვირვალობის და საიდუმლოების პრობლემები ჩამოყალიბებულია ცნობილი ამერიკელი მეცნიერის და პოლიტიკოსის ა. შლეზინგერ უმცროსის მიერ, საიდუმლოების სისტემის მთავარი მიზანია – დამალოს საზოგადოებისაგან არაკომპეტენტურობა და კორუმპირებულობა... ხელისუფლების არასწორი ნაბიჯები და შეცდომები, ხოლო ხანდახან დანაშაულიც.<sup>6</sup>

არსებობს განაჩენის გამოქვეყნების სამი ფორმა. განაჩენის გამოქვეყნების პირველ ფორმას წარმოადგენს, მისი გამოქვეყნება სასამართლოს სხდომის დარბაზში და მისი სასამართლოს არქივში დეპონირება. მეორეს – სპეციალურ გამოცემაში გამოქვეყნება. მესამეს – ინტერნეტში განთავსება.

ამერიკაში სასამართლო განაჩენები ექვემდებარება გამოქვეყნებას ისეთ გამოცემაში, როგორცაა “Restatement of the law”, რომელშიც მასალები გადმოცემულია დარგების მიხედვით. ასევე არსებობს 2 დამატებითი სერია: “Restatement in the Courts” და “State annotations”.

სასამართლო საქმიანობის საქვეყნოების პრინციპი, როგორც მართლმსაჯულების განუყოფელი ნაწილი გერმანიაში ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო პროცესი და მისი შედეგი – განაჩენი უნდა ხორციელდებოდეს ხალხის კონტროლის ქვეშ, რადგან საქვეყნოება არის სასამართლოს განაჩენისადმი საზოგადოების ნდობის არსებითი პირობა. საქვეყნოება არის გარანტი იმისა, რომ სასამართლო პროცესი და განაჩენი არ არის საიდუმლოების ფარდით მოსილი და ამას თან არ სდევს საზოგადოების მხრიდან მოსამართლეთა მიმართ უნდობლობა.

გერმანიაში საერთო წესის თანახმად, სასამართლოში საქმეთა განხილვა და სასამართლოს განაჩენის გამოცხადება ხორციელდება საქვეყნოდ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო განაჩენის საქვეყნოდ გამოცხადების მოთხოვნა გერმანულ კანონმდებლობაში იმპერატიული არ არის. სასამართლოს შეუძლია გარკვეულ პირობებებში მიიღოს გადაწყვეტილება და გამორიცხოს საქვეყნო გამოცხადებიდან 1. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი 2. სხვა ნაწილი ან 3. საერთოდ გადაწყვეტილება გამოაცხადოს მხოლოდ დახურული სასამართლო სხდომის მონაწილეებისათვის.

გერმანიაში, ისევე როგორც ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: ესპანეთი, იტალია, შვეიცარია, საბერძნეთი და საფრანგეთი, არსებობს სასამართლო განაჩენების ოფიციალური კრებულები. ასეთი კრებულების გამოცემის ინიციატორი და შემდგენელი არის თავად სასამართლო. გერმანიაში ასევე არის სასამართლოს განაჩენების საკმაოდ პოპულარული არაოფიციალური კრებულები: „Lindenmaier/Mohring“, „Nachschlagewerk des Bundesgerichtshofs“, „Buchholz-Sammel-und Nachschlagewerk der Rechtsprechung des Bundesverwaltungsgerichts“, „Verwaltungsrechtsprechung in Deutschland“.

საფრანგეთში განაჩენი საქვეყნოდ ცხადდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია პირადი საიდუმლოების შენახვა.

საფრანგეთში სასამართლო განაჩენების ყველაზე პოპულარული ოფიციალური კრებულება: *Jurnal officiel de la Republique Francaise*

<sup>6</sup> А. Шлизингер – Цикл американской истории. Москва. 1992 г. стр. 433.

რუსეთში სასამართლო განაჩენი საქვეყნოდ ცხადდება, ხოლო სასამართლო განაჩენების გამოქვეყნება მასობრივ ხასიათს არ ატარებს. ძირითადად ქვეყნდება უმაღლესი და საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ნამდვილად არ არს დამაკმაყოფილებელი ვითარება. ქვეყნდება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები და ისიც დიდი დაგვიანებით. საჭიროა სასამართლო ხელისუფლებამ გამონახოს საშუალება, რათა სასამართლო განაჩენები დროულად გამოქვეყნდეს.

სხვა საკითხია, თუ რა მომენტიდან უნდა იყოს განაჩენი ყველასათვის ხელმისაწვდომი: გამოცხადების თუ კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ვფიქრობთ სასამართლოს განაჩენი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის მისი საქვეყნოდ გამოცხადების მომენტიდან, თუმცა კი ეს სადავო საკითხია. თუნდაც იმიტომ, რომ ხშირად საქვეყნოდ ცხადდება განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი, ხოლო მთლიანად სასამართლოს განაჩენი იწერება და შესაბამისად ხელმისაწვდომიც არის გარკვეული დროის შემდეგ (14 დღეში სასამართლოს განაჩენი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გადაეცეთ მხარეებს). რა თქმა უნდა, ეს იწვევს გარკვეულ სიმძნელებს, მაგრამ კანონის თანახმად ამ დებულების მართებულობა ეჭვგარეშეა. არის კონსტიტუცია, კანონები, რომელთა თანახმადაც სასამართლო განხილვის საქვეყნობა ნიშნავს, რომ განაჩენი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი.

პრობლემები წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც თავად დრო მოითხოვს განაჩენების განთავსებას ინტერნეტში. ერთი შეხედვით, ჩვენ შესაძლოა დროს წინ ვუსწრებთ, მაგრამ სასამართლო განაჩენების ინტერნეტში განთავსება არც თუ ისე შორეული პერსპექტივაა, მით უმეტეს, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე მოქმედებს ასეთი პრაქტიკა. შესაბამისად, ურიგო არ იქნება, თუ ჩვენ ვისაუბრებთ იმ პრობლემებზე, რაც თან სდევს ასეთ პრაქტიკას, რათა მომავალში გათვალისწინებული იყოს ისინი და შემუშავდეს ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, წარმოიშობა სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერნეტში განთავსების და რეალიზაციის გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან საჭიროა შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. სარგებელი ამ დროს პირველ რიგში მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელი გახდება სასამართლო განაჩენების კოდიფიკაცია, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ ვადევნოთ თვალი სასამართლო პრაქტიკას. საქართველოში სასამართლო განაჩენები არ ატარებენ პრეცედენტულ ხასიათს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სასამართლო განაჩენებს გააჩნიათ პრეცედენტული მნიშვნელობა. შესაბამისად, ჩვენთვისაც ეს სასარგებლო იქნება, ვინაიდან მოსამართლეები ცდილობენ თვალი ადევნონ ერთმანეთის პრაქტიკას და მოყვანონ ის გარკვეულ ჩარჩოში.

დღესდღეობით ძნელია იმაზე საუბარი, თუ რა რეაქციას გამოიწვევს ასეთი პრაქტიკის დანერგვის იდეა მოსამართლეთა კორპუსში. არავისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ, სამწუხაროდ, სასამართლოში ადგილი აქვს შეცდომებს და თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს. თუმცა ამჟამად ეს არ წარმოადგენს ჩვენს განხილვის საგანს. გასაგებია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეები დაყენებულნი იქნებიან იმ აუცილებლობის წინაშე, რომ თითოეული განაჩენი გახდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი ინტერნეტის მეშვეობით, ბევრი მათგანი აღმოჩნდება ალტერნატივის წინაშე: დაწერონ განცხადება სამსახურიდან წასვლაზე ან მკვეთრად გაზარდონ თავისი მუშაობის ხარისხი (გააუმჯობესონ სასვენი ნიშნების ხმარება და

განაჩენის სამოტივაციო ნაწილი), მაგრამ შეიძლება პრობლემას მეორე მხრიდანაც შევხედოთ. დღეს იმის გამო, რომ მოსამართლე თითქმის დარწმუნებულია იმაში, რომ მის მიერ გამოტანილ განაჩენს არავინ არასდროს ბოლომდე არ წაიკითხავს, მას შეუძლია სუსტი სამოტივაციო ნაწილის დაწერა. ამიტომ სასამართლო განაჩენების ინტერნეტში განთავსების იდეა, რასაც თან სდევს მაქსიმალური გამჭვირვალობა, თავისთავად ძალზე პროგრესულია და მისი ცხოვრებაში გატარებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული შედეგები და, ვფიქრობთ, ეს შედეგები დროული და დადებითი იქნება. მაგრამ ამას მოჰყვება პრობლემებიც. უპირველეს ყოვლისა, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ არის გადაწყვეტილებათა კატეგორია, რომელიც კანონის ძალით არ შეიძლება გახდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი. მაგალითად, ბავშვის შვილად აყვანის საქმეებზე. მაგრამ, ალბათ არის ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომლებიც კანონით თითქოსდა საქვეყნოდ უნდა გამოცხადდეს, მაგალითად, ქორწინების შეწყვეტის საქმეებზე, მაგრამ მხარეები საქვეყნოებაში დაინტერესებულნი არ არიან. აქ უკვე საჭიროა კომპრომისის ძიება. მაგალითად, გადაწყვეტილებები შეიძლება მოთავსდეს ინტერნეტში სახელების მითითების გარეშე, ვინაიდან მთავარია არსი და არა სახელები და გვარები. (სწორედ ასეთი გზით ხდება უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გამოქვეყნება).

არსებობს სხვა პრობლემაც. თუ ჩვენ მთელი ქვეყნის ან რაიონის ყველა გამოტანილ გადაწყვეტილებას მოვთავსებთ ინტერნეტში, ეს იქნება 98% ინფორმაცია, რომელიც არავის არ აინტერესებს. იდეის პირველი ნაწილი - ყველაფერი უნდა იყოს ხელმისაწვდომი - შემდგომში წარმოშობს პრობლემას, როგორ გავერკვეთ ყველაფერ ამაში, როგორ გავამარტივოთ ძიების პროგრამა, ეს კი უკვე პროგრამისტების კომპეტენციაა.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოზიტიური შედეგების მისაღწევად და ნეგატიურის თავიდან ასაცილებლად, რაც თან მოჰყვება სასამართლოს გადაწყვეტილებების ინტერნეტში განთავსებას, საჭიროა სასამართლო კორპუსის შესაბამისი მომზადება. დამატებითი ორგანიზაციულ - ტექნიკური აღჭურვა, რაც უნდა მოხდეს ეტაპობრივად.

სასამართლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი კონტროლი უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ დაუშვებელია იმ პირებისათვის ზიანის მიყენება, რომლებიც აღმოჩნდებიან სასამართლო ხელისუფლების ორბიტაში. ამ პოზიციიდან, როდესაც არ არსებობს სამართლებრივად მკაცრად განსაზღვრული პიროვნების ინტერესების უზრუნველყოფის გარანტიები სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადებისას, შესაძლოა, უფრო სწორია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, რათა დაცული იყოს მესამე პირთა კონსტიტუციური უფლებები, საქმიანი რეპუტაცია, კანონიერი ინტერესები, პატივი და ღირსება და ამავე დროს მხარეთა გვარების მითითების გარეშე არა მარტო ფიზიკური, არამედ იურიდიული პირებისაც, თუ ამაზე არ არის მათი თანხმობა.

სასამართლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხის გადაწყვეტისას საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება. ასე, ვერმონტის შტატში ყველა სასამართლო გადაწყვეტილება, გარდა საიდუმლოსი, შეიძლება წარედგონოს ყველა მსურველს, რომლებსაც შეუძლიათ მისი სასამართლოს შენობაში წაკითხვა და ასლის გადაღება. გადაწყვეტილებები გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ თავსდება ინტერნეტში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, განსაზღვრულ პირობებში სასამართლო პროცესი მიმდინარეობს დახურულ

სხდომაზე. აქ წამოიჭრება კითხვა: როგორ უნდა გადაწყდეს ასეთ პროცესზე მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების საკითხი? საქმე იმაშია, რომ დახურული სასამართლო პროცესი და სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნობა სხვადასხვა საკითხია. და ვინაიდან კანონი პირდაპირ ადგენს, რომ ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილება საქვეყნოდ ცხადდება, ეს ნიშნავს იმას, რომ ის შეზღუდვები, რომლებიც კანონით დაწესებულია სასამართლო პროცესისათვის და რომლებიც ეფუძვნებიან საერთაშორისო ხელშეკრულებებს და სტანდარტებს, არ არიან კავშირში გადაწყვეტილების გამოქვეყნებასთან. როდესაც სასამართლო პროცესი დახურულია, გადაწყვეტილება მაინც საქვეყნოდ ცხადდება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ, როგორც წესისათვის და პრინციპისათვის არ არსებობს დაბრკოლება, რომ გადაწყვეტილება განთავსდეს ინტერნეტში. ამ წესიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამონაკლისი, რომელსაც ადგენს კანონი - ბავშვის შვილად აყვანის თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცავს ბავშვის შვილად აყვანის საიდუმლოებას, მშვილელის და შვილად აყვანილი ბავშვის სახელები არ შეიძლება დასახელდეს საქვეყნოდ. ეს არის ერთადერთი გამონაკლისი, რომელსაც აწესებს კანონი და რომელიც აბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობას.

შემდეგი საკითხია მხარეთა თანხმობა სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერნეტში გამოქვეყნებაზე. საერთო წესის მიხედვით ასეთი თანხმობა საჭირო არ არის. მაგრამ არსებობს გამონაკლისები, რომლებიც უკავშირდება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებს. საუბარია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლზე, რომელიც იცავს მონაცემებს, რომლებიც შეიცავენ მიმოწერის, სატელეფონო საუბრების საიდუმლოებას. თუ გადაწყვეტილებაში აქცენტი გაკეთებულია იმ მონაცემებზე, რომელიც კანონიერი საშუალებით გახდა ცნობილი გარკვეული ინფორმაციის წყაროდან, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების გამოქვეყნება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ან იმ პირის წინასწარი თანხმობით, რომელსაც ეხება გამოსაქვეყნებელი მონაცემები. ეს არის საკანონმდებლო შეზღუდვა. მაგრამ არსებობს რიგი სხვა შეზღუდვებისა. კონსტიტუციით პირის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. პირის პირად ცხოვრებაზე ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და გავრცელება მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. აქ წარმოიშობა გარკვეული დილემა. ერთი მხრივ, მოქალაქე, რომელიც მიმართავს სასამართლოს, ფიქრობს, რომ ის, რაც ხდება სასამართლო პროცესზე, არ გახდება საქვეყნო. მაგრამ მეორე მხრივ, კანონი არ ზღუდავს ასეთი გადაწყვეტილების გამოქვეყნებას. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოქვეყნების საკითხი უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად. მოსამართლე უნდა გამოვიდეს როგორც კანონის, ისე მორალის ნორმებიდან. და, რა თქმა უნდა, თუ არსებობს მხარეთა თანხმობა, პრობლემა არ წარმოიქმნება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ასეთი გადაწყვეტილება უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

აღნიშნული საკითხი განიხილება ბევრ საერთაშორისო აქტში, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა პრობლემამ ვერ ჰპოვა სათანადო სამართლებრივი გადაწყვეტა. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კანსტიტუციით უზრუნველყოფილია კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი და ოჯახური საიდუმლოების დაცვა. შესაბამისად წარმოიშობა ახალი კატეგორია - პირადი და ოჯახური საიდუმლოება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ერთი მხრივ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის და საქვეყნობის პრინციპი მეორე მხრივ. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ პრინციპებს შორის არის გარკვეული წინააღმდეგობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც საუბრობს ერთი მხრივ, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას

მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, პიროვნების პატივისა და ღირსების პატივისცემაზე, და, მეორე მხრივ, სასამართლო განხილვის საქვეყნოობაზე. იმისათვის, რომ პრობლემა უფრო ნათლად გამოჩნდეს, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საქვეყნოობის პრინციპი შეიძლება იყოს დაბრკოლება ბევრი ადამიანისათვის, რომლებსაც სურთ მიმართონ სასამართლოს თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ნებისმიერმა მოქმედმა იურისტმა კარგად იცის, თუ რაოდენ ძნელი განსახილველია გაუპატიურების და სხვა ამგვარი დანაშაულის საქმის მასალები. თავად ქორწინების შეწყვეტის თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვა შეიძლება განსაზღვრულ პირს უჭირდეს იმის გამო, რომ ადამიანს არ სურს სასამართლოში საქვეყნოდ გამოიტანოს პირადული საკითხი. ვფიქრობთ, ერთ-ერთი ყველაზე რთული და მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ნაპოვნი იქნეს ოპტიმალური კომპრომისული ვარიანტი ერთი მხრივ, საქვეყნოობის პრინციპსა (რომლის მეშვეობითაც კმაყოფილდება საზოგადოების ინტერესი, ხორციელდება კონტროლი მართლმსაჯულებაზე) და მეორე მხრივ იმ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომლებიც მიმართავენ სასამართლო ხელისუფლებას თავიანთი უფლებების დასაცავად და უზრუნველყოფილი იყოს ამ უფლებათა დაცვა საქმის განხილვისას და განაჩენის გამოტანისას. ვფიქრობთ, ამ ორ ამოცანას შორის უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები, ეს კი არც თუ ისე იოლი ამოცანაა. და მაინც აღნიშნულ შემთხვევაში პრიორიტეტი ეკუთვნის პიროვნების ინტერესებს. თუ პიროვნებას გააჩნია სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, მას იმის უფლებაც უნდა ჰქონდეს, რომ მისი კერძო ცხოვრება ხელშეუხებელი იყოს იმ ზომით, რა ზომითაც ეს ხელს არ შეუშლის სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების ინტერესს. აქ არჩევანი უნდა გააკეთოს მოსარჩლემ, ადამიანმა, რომელიც მიმართავს სასამართლოს. ადამიანი მიმართავს სასამართლოს და, შესაბამისად, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ინტერესები. რაც შეეხება ასეთი განაჩენის ინტერნეტში განთავსებას, ასეთი ადამიანის გვარი შეიძლება აღინიშნოს ერთი სიმბოლოთი, ვინაიდან იმ პირებს, რომლებსაც აინტერესებთ განაჩენი, აინტერესებთ საქმის არსი და არა კონკრეტული გვარები.

დავუბრუნდეთ ისევ იმ საკითხს, თუ როდის უნდა განთავსდეს ინტერნეტში სასამართლოს განაჩენი: მისი გამოტანის თუ კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქოსდა პრობლემა არ არის, ვინაიდან გადაწყვეტილება საქვეყნოდ ცხადდება. მაგრამ რა ვუყოთ ამ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, რომლის თანახმადაც ყველა ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ შევა კანონიერ ძალაში. გამოდის, რომ იგი დამნაშავე ხდება სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. მაგრამ, ამავე დრო განაჩენი მაინც ცხადდება საქვეყნოდ. აქ წამოიჭრება შემდეგი საკითხი: როგორ შევაფასოთ ასეთი ხელმისაწვდომობა, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი პრესის ტრადიციებს, გავითვალისწინებთ იმ შესაძლო კომენტარებს, რომელიც შეუძლიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაუკეთონ ასეთ გადაწყვეტილებას. განაჩენით დგინდება არა მხოლოდ ბრალეულობა, არამედ აღინიშნება სასჯელის ზომაც. დავუშვათ, პიროვნებას მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. გარკვეული დროის შემდეგ განაჩენი გამოქვეყნდა პრესაში. განსაზღვრულ შემთხვევებში ეს შეიძლება ნიშნავდეს მკითხველის მიერ მის დამნაშავედ აღიარებას. ამასთან იმის აღნიშვნა, რომ განაჩენი გამოიტანა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლომ, საკმარისი არ არის. ადამიანის უფლება ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ასეთი განლაგების დროს, შეიძლება დარღვეული იქნეს. მაგრამ



მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვუჭერთ მხარს ინტერნეტში საქვეყნოდ გამოცხადებული განაჩენის გამოქვეყნებას. უბრალოდ, მისი ძალაში შესვლისას შეტანილი უნდა იყოს ცვლილებები, თუ ასეთს ადგილი ექნება. გამოცხადებული განაჩენის ინტერნეტში გამოქვეყნება ვერაფრით ვერ დააზარალებს განსასჯელს, ვინაიდან თუ პრესა თვალს ადევნებს სასამართლო პროცესს, ჟურნალისტს თავისუფლად შეუძლია განაჩენის საქვეყნოდ გამოცხადების დროს ჩაწერა და შემდგომ გაზეთის ფურცლებზე განთავსება, ეს მისი უფლებაა და აქ მთავარია დაინტერესება და არა ის, თუ როდის განთავსდება განაჩენი ინტერნეტში. ინტერნეტში განთავსებით იოლდება საკმაოდ ბევრი ადამიანის შრომა, რომელთაც სურთ თვალი ადევნონ სასამართლოს საქმიანობას ან კონკრეტული საქმისათვის სჭირდებათ ესა თუ ის განაჩენი.

რაც შეეხება იმ საქმეთა კატეგორიას, რომლებიც მიმდინარეობს დახურულ სხდომაზე, ევროპის კონვენციის ადამიანთა ულებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ მე-6 მუხლის პირველ ნაწილში ცალსახად არის ნათქვამი, სასამართლო განაჩენი საქვეყნოდ ცხადდება. ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს: ყველა მონაცემი, რომელიც წარმოადგენს კერძო ან სხვა სახის საიდუმლოებას, ნახსენები არ უნდა იყოს სასამართლოს განაჩენში, მათ გვერდი უნდა აუქციონ.

სასამართლო განაჩენის ინტერნეტში განთავსება ემსახურება სულ ცოტა სამი მიზნის მიღწევას: საზოგადოების უფრო სრულ ინფორმირებულობას სასამართლოს მუშაობაზე, რომელიც არის ადამიანის კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია - თავისუფლად მიიღოს ინფორმაცია; სასამართლო-სამართლებრივი და სასამართლო მუშაობის გაუმჯობესებას. აღნიშნული, დასახული მიზნების განხორციელება ერთდროულად გამოიწვევს რიგი საკითხების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია სამართალდარღვევათა პროფილაქტიკასთან, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ფორმირებასთან, მასების მართლშეგნების და სასამართლოს მუშაკთა პროფესიონალიზმის ამაღლებასთან, და ბოლოს, სასამართლოსადმი დაუსაბუთებელი მიმართვების რიცხვის შემცირებასთან, ანუ მატერიალური და ფიზიკური დანახარჯების შეკვეცასთან.

ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ საქვეყნოობა არ გადაიქცეს თვითმიზნად. კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, რომ თითოეულ ადამიანს თავისუფლად შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი კანონიერი საშუალებით, არ უნდა ხორციელდებოდეს სხვა კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ხარჯზე. სახელდობრ, არ უნდა დაირღვეს სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები.

---

სტატია მიღებულია: 2005-04-28